საქართველო, ქ. თბილისი
ჰ ჟ ჟ „ქ წ ტ წ დ შ შ“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

☐152/12 „10“სექტემბერი 2013 წ.

ქ.თბილისში, წულუკიძის ქ. №6 ში ახალი შენობის დაფუძნებისათვის ქვაბულის მოწყობის შესახებ

არქიტექტურული გეგმარებიდან და კონსტრუქციული გადაწყვეტიდან გამომდინარე, ასაშენებელი შენობის საძირკვლებისათვის საჭიროა ქვაბულის ამოღება მიწის ზედაპირიდან სიღრმით 2.6 მეტრამდე, ხოლო მიმდებარე ერთსართულიანი შენობის ლენტური საძირკვლები დაფუძნებულია მიწის ზედაპირიდან სიღრმით 0.6 მეტრამდე.
რადგანაც შენობებს შორის მანძილი მცირეა, საშუალოდ 1.2 მეტრი, ქვაბულის ამოღება საშიშროებას შეუქმნის არსებული შენობის კედლის საძირკველის მდგრადობას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში დამუშავებული ნახაზების მიხედვით, ქვაბულის ამოღებამდე, არსებული შენობის კედლის საძირკვლის გასამაგრებლად მთელ სიგრძეზე ეწყობა შპუნტოვანი შემოფარგვლა - ბურღვით საინექციო ხიმინჯების მეშვეობით.
შპუნტოვანი შემოფარგვლა უზრუნველყოფს არსებული შენობის კედლის საძირკველის მდგრადობას, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ასაშენებელი შენობის საძირკვლებისათვის ქვაბულის ამოღება და საძირკველის ფილის მოწყობა.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/